ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9723166001
თარიღი:15/06/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა N-09

დ. ლენტეხი. 13 / ივნისი /2023წ.

მიმდინარე წლის 13 ივნისს დღის 12 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით პირველმა . მან აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება საკრებულოს 13 (ცამეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრება 8 (რვა)წევრი.

სხდომას ესწრებოდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი და მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - 2023 წლის ბიუჯეტში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხის გადანაწილების შესახებ.**

   /მომხს. მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი/

2. **დაბა ლენტეხში საჯარო ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაციის სამუშაოების პროექტის მოწონების თაობაზე.**

   /მომხს. მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი/

3. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს. ტახუ ჩანქსელიანი/

4. **სხვადასხვა.**

დღის წესრიგთან დაკავშირებვით შენიშვნა არ ყოფილა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ ყოფილა. ღია კენჭისყრით

მომხრე -13

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.

1.მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა გია ონიანმა აღნიშნა, რომ მომზადებულია განკარგულების პროექტი -2023 წლის ბიუჯეტში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხის გადანაწილების შესახებ, კერძოდ:

ა) 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან (კოდი 31.1) 60000 (სამოციათასი) ლარი, გადატანილი იქნას მიწის გაუმჯობესების მუხლში (კოდი 31.1.1.4) .

ბ) 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან (კოდი 31.1) 75000 (სამოცდათხუთმეტიათასი) ლარი, გადატანილი იქნას კეთილმოწყობის სამუშაოების დაფინანსების მუხლში (კოდი 02.04.02).

გ) 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან (კოდი 31.1) 20000 (ოციათასი) ლარი, გადატანილი იქნას საგზაო ინფრასტრუქტურის (გზები და ხიდები) მშენებლობის მუხლში (კოდი 02.01.01).

მერმა განავრცო საკითხი, რომ

1.N-2 საჯარო სკოლას აქვს პრობლემა. გარკვეული პერიოდია ვეძებთ მიწის ფართს, სადაც აშენდება ახალი სკოლა. ჩვენი რაიონის დეპუტატი შეხვდა განათლების მინისტრს და შეჯერდნენ, რომ ამ ეტაპზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოვიყენოთ თანხა და მომავალში შეივსება ბიუჯეტი;

2. ხერიას ხიდზეც გვაქვს სერიოზული პრობლემა და უნდა მოგვარდეს ეს საკითხიც;

3. უნდა გაკეთდეს მერის ოთახი და ამავე დროს კანიდორებში ელექტროგაყვანილობა;

მან ასევე იმსჯელა მიმდინარე ტენდერებზე და უპასუხისმგებლო შემსრულებლებზე. აღნიშნა, რომ მერიის შესაბამისი სამსახური ყველა ზომას ატარებს , მაგრამ მაინც გვაქვს სერიოზული პრობლემები ტენდერების შესრულებაში. პარალელურად მან სხდომის წევრებს მიაწოდა სასიამოვნო ინფორმაცია, რომ უახლოეს პერიოდში კეთილმოეწყობა ბაზრის ტერიტორია სავარაუდოდ რაგბის მოედნისა და ძველი საავადმყოფოს მომიჯნავე ტერიტორიაზე.თანხა 104 000ლარი. მოწვეული გვყავს სერიოზული ინვესტორები, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებაში ჩადებენ სერიოზულ თანხებს.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა - ძალიან სასიამოვნო ფაქტია, რომ ჩვენი რაიონი ყოველდღე უფრო და უფრო ლამაზდება, მაგრამ გვაინტერესებს რა მექანიზმია შემუშავებული ამ ყველაფრის შესანარჩუნებლად.იგულისხმება შემოვლითი გზის გაკეთება თუ არის გათვლილი.

პასუხად მერმა გია ონიანმა აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში ელოდებიან პრემიერის ჩამოსვლას მუნიციპალიტეტში და მაშინ უნდა დაისვას ეს საკითხები.

შეკითხვები დასვა საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ :

1. გასაგებია, რომ აღნიშნული თანხები გადაგვაქვს კლასიფიკაციის მუხლიდან მუხლში და უნდა გამოვიყენოთ სერიოზული პრობლემების მოსაგვარებლად, მაგრამ გვაინტერესებს რა გზით იგეგმება ბიუჯეტის შევსება.

პასუხად მერმა აღნიშნა, რომ არის დაპირება მთავრობის ადმინისტრაციიდან, რომ წლის ბოლომდე ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით შეივსება ბიუჯეტი და ეს დანაკლისი გასწორდება.

2. მუდმივად გვაქვს მსჯელობა საქტო დარბაზის მოწყობაზე და ეს საკითხი არ მოგვარდა. გვაინტერესებს როდისთვის არის გათვლილი სააქტო დარბაზის მოწყობა.

პასუხად მერმა აღნიშნა, რომ არის დაპირება მთავრობის ადმინისტრაციიდან, რომ ამ პრობლემის მოგვარებისთვის რაიონს გადმოეცემა საჩუქარი გრანტის სახით და ეს საკითხიც მოგვარდება.

სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა კენჭისყრაზე დააყენა საკთხი.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 13

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მიეცეს თანხმობა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს მოახდინოს ცვლილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხის გადანაწილებაზე.

2. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა გია ონიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - დაბა ლენტეხში საჯარო ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაციის სამუშაოების პროექტის მოწონების თაობაზე. მან განავრცო საკითხი და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში გვაქვს საკითხი პროექტის მოწონებაზე და როცა პროექტი მზად გვექნება, შეიძლება რომელიმე ფონდმა დაგვიფინანსოს.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით პირველმა- ეს არის ძალიან კარგი საკითხი. მითუმეტეს, რომ ბიბლიოთეკაში გვყავს ძალიან კარგი კოლექტივი და მასიურად ატარებენ შესანიშნავ ღონისძიებებს. რა თქმა უნდა სასიამოვნო ფაქტი იქნება, თუ ამ კოლექტივს ექნება სამუსაოდ კარგი გარემო.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე -13

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს; მოწონებული იქნას განკარგულების პროექტი - დაბა ლენტეხში საჯარო ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაციის სამუშაოების პროექტის მოწონების თაობაზე.

2. მოისმნეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანს სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - 2023 წლის ბიუჯეტში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხის გადანაწილების შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 ივნისის N-1085 განკარგულებით მგზავრთა გადაყვანის მიზნით სამგზავრო ავტობუსების მრავალწლიანი შესყიდვის მიზნით ლენტეხის მუნიციპალიტეტს 2 ავტობუსის შესაძენად გამოეყო 274,800 ლარი. რომელიც უნდა აისახოს 2023 წლის ბიუჯეტში.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრით:

მომხრე -13

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: შევიდეს ცვლილება - ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში.

3. სხვადასხვა:

1. მოისმინეს: საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა დასვა საკითხები - სოფ. სასაშში ამირან ონიანის ოჯახის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობაზე. აღნიშნა, რომ ეს საკითხი განხილული იქნა წინა სხდომაზეც და გადაეგზავნა მერიას მომართვა აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე.

პასუხად მერმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ოჯახის მდგომარეობის შესასწავლად იყო კომისია წასული და ვცდილობთ, რომ გამოვნახოთ გამოსავალი ამ ოჯახის დასახმარებლად.

2. სასაშის საბავშვო ბაღში არ არის ელემენტარული ჰიგიენური პირობები - არ არის წყალი, მაცივარი და ა.შ.

მერმა პასუხად აღნიშნა, რომ მაქსიმალურად ვართ ჩართული აღნიშნულ პროცესში და ვცდილობთ რომ მოვაგვაროთ ეს პრობლემა.

3. სოფ. ჟახუნდერში კერბულაშის უბანში ლობჟანიძის ოჯახს აქვს პრობლემა ეზოში გამავალი სანიაღვრე არხის გამო. ეს პრობლემაც იყო წინა სხდომაზე განხილული და დღემდე ეს პრობლემაც არ არის მოგვარებული.

მერმა ჩაინიშნა საკითხი და აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში მოგვარდებოდა საკითხი.

4. მოისმინეს: ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა აღნიშნა, რომ რცხმელურის თემში არის სერიოზული პრობლემა ფაროსნების გამო და მოსახლეობა ითხოვს შესაბამისი ზომების გატარებას.

პასუხად მერმა აღნიშნა, რომ მოსახლეობამ დააფიქსიროს აღნიშნულ პრობლემაზე განცხადება და შემდგომ თვითონ მისცემდა რეაგირებას შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან.

5. მოისმინეს: ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ ირაკლი ქურასბედიანმა აღნიშნა, რომ სოფ. გულიდაში ახლად აშენებულ ამბულატორიაში არ არის შუქი.

პასუხად მერმა აღნიშნა, რომ ამბულატორიები გადაცემულია ჯანდაცვისთვის და შესაბამისად მან უნდა იზრუნოს შესაბამისი პრობლემების მოგვარებაზე. აქვე აღნიშნა, რომ რაიონზე გადმოცემული რეანიმობილის კვალიფიციური ექიმებით დაკომპლექტების პრობლემა მოგვარდა და ივნისის თვის ბოლოდან დაიწყებს ფუნქციონირებას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ დღის 14 საათზე საკრებულოს მორიგი სხდომა დამთავრებულად გამოცხადდა.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი